

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №29-30, 9.07.1997, გვ.15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველი თანხას იხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს, გარდა ამავე მუხლის 7¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

2. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ პუნქტი:

„7¹. იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის მიმართ შესაძლო ზიანის თავიდან აცილების, ან სასამართლო ან საარბიტრაჟო სამართალწარმოების თავიდან აცილების ან/და დასრულებისათვის, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მყიდველის მიერ თანხის გადახდისთვის დააწესოს ამავე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ ვადაზე უფრო დიდი ვადა.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი